3 რასკვეკი, 6 ივლისი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი № 146

1/1907. № 145-287 III-IV 83.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდ განცხადებანი შეიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნამუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოსაზრებანი. წერილებით-ბასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნამუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისარი"-ს ხელის მოსწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპოთ, თუ დროზე არ შემოიტანენ სვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლეგამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

თეკლა ჯამბაკურიან ორბელიანის ასული აბაშიძისა, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ასული ჯავახიშვილისა, კიტა აბაშიძე და ივანე ჯავახიშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასის და დაუვიწყარის დიდ-დედის

ნინო ვასილის ასულის **ფონ-გერშელმანისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა, № 66) შაბათს, შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა), საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებული იქმნება ნემეცების სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზედ (2—199—1)

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა, და ალექსანდრე ივანე ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა გულით საყვარელისა და დაუვიწყარის დეიდა მათის

ნინო ვასილის ასულის **ფონ-გერშელმანისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა № 66) შაბათს შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა), საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებულ იქმნება ნემეცების სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. (2—197—1)

ნინო ნიკოლოოზის ასული ჯამბაკურიან ორბელიანისა, შვილები მისი **ალექსანდრე, დიმიტრი და თამარ ჯამბაკურიან-ორბელიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასისა და დაუვიწყარის დედის დისა და დიდ-დედის

ნინო ვასილის ასულის **ფონ-გერშელმანისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა № 66) შაბათს, შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა) საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებულ იქმნება ნემეცების სასაფლაოზედ

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზედ. (2—198—1)

კნ. ფოფო ყაფლანის ასული და ელენე გიორგის ასული შალიკაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 7 ივლისს, სოფ. სკრაში გარდახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ მოკლულ პირველის მეუღლისა, ხოლო მეორის მამის

ი. გიორგი ალექსანდრეს ძის შალიკაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—196—1)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიიღებს გარედან მცხოვრებელ ავადმყოფებს.

მიხეილ აგაჯანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.

ი. ნ. ეგიაზარიანოვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ა. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ი. გ. ბეტანოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

ზ. ბ. კამინკი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

ბ. ა. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, ავრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყავილის აცრა და ძიების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—88)

ექიმი

ა. ნ. ლიასამიძე

განიზა და ვენერიული. დილით 9—10 ს. ს. ფამოოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ე. ვ ა ზ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—80)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—7)

ქუთაისში

ექიმი მაციუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ეიშკარიდან. (60—ფოს.—36)

ექიმი

ნ ი ნ ო რ ა ხ ა ნ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—129)

ექიმი

ვ. ს. ბუსხელიშვილი

ეიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½ ს. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

ალ. სოლოლოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 411.

ავადმყოფთა მიღება 11-და 5 საათამდე.

რუდენკო—შინ. სნეულ. ოროებით წავიდა ქალაქიდან.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. დ ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

ასპიზოვი—ყურ. ყელ. დაცვირის დროებით წავიდა.

უალამქაროვი—ქალისა დ ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

გორბალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ინაევი. ქალისა, დროებით წავიდა.

თეთრაძე—კან. და ვენერ. ყოველ დღე 1—3 ს.

ბოგოვსკი—შინ. ზთაგონ ყოველ დღე 4—5 ს.

მონსე—ბავშვ. სამშ., ხუთ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი ოზელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

რიდელი—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

პავარსკი
ჩუდნოვსკი } კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით (100—ნ.—7)

ბაქოს წიგ. გამომც. ქართ. ამხ.

„კალამისავან"

წიგნების მადაზიებს გასასყიდად დაურიგდათ

ახალი გამოცემანი ამხ—სა:

№ 7 საქართველოს ეკლესიის აკლება ფასი 5 კ. და № 8 ვინ ისთვის იბრძვის (პოლიტიკური პარტიები) შედგენილი „მიწის" რედაქციის მიე ფასი 8 კაპ. (5—ნ.—2)

პედა **გოგიური სბჭო ქუთაისის რეალურ სასწავლებლისა** აცხადებს შემდეგს: მისაღები გამ ცდა მოსამზადებელდა პირველ კლასებში და მოწმობებზე დნიშნულია 20—31 მარიამობისთვეს. დაარჩენ კლასებში ვაკანსია არ არის. თხონები საჭირო საბუთებით მიიღება 14 მარიამობისთვემდის. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვეს. (3—ნ.—2)

ქუთაისის სათავად აზნაურო

გიმნაზია

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლის [illegible] 40 [illegible] კანსია იქნება მხოლოდ პირველ მოსამზადებელ კანყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები წლოვანებით შვიდიდან ცხრა წლამდი. მათი მიღება დანიშნულია 31 აგვისტოსათვის. დანარჩენ განყოფილებებსა და კლასებში თავისუფალი ადგილი არ არის. (3—ნ.—2)

ქუთაისის სათავად აზნაურო

გიმნაზია

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლიდან გიმნაზიურ კლასებისათვის საჭიროა მათემატიკის, რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებელი.

დაწვრილებით პირობათა შეტყობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, 11-დან 2 საათამდე. (3—ნ.—2)

ტფილისი, 6 ივლისი

არჩევნების დაწყებამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა; მალე საარჩევნო სიებიც უნდა იქმნას გამოქვეყნებული და ამიტომ მთელ რუსეთში გაცხარებული მუშაობა სიების დასამზადებლად. მაგრამ იმ ცნობებიდან, რომელნიც რუსულ გაზეთებში იბეჭდება და რომელნიც კანტიკუნტად ტელეგრაფსაც მოაქვს, ერთი დიდმნიშვნელოვანი და ფრიად დამახასათებელი გარემოება ირკვევა. ირკვევა ის, რომ სიების დამზადებას ენერგიულად ცდილობენ ოფიციალური დაწესებულებანი, ამრჩეველნი კი ერთობ გულგრილად ეკიდებიან საქმეს და თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ამ საჭირო პოლიტიკურს აქტში.

რუსეთის საარჩევნო კანონი წინადაც ისეთი იყო და ახლაც მით უმეტეს ისეთია, რომ მაღალცენზიან ამრჩეველს შეუძლიან სრულიადაც არ იზრუნოს ამ საქმისთვის: იგი მაინც იქნება მოქცეული საარჩევნო სიებში; დაბალ-ცენზიანმა კი უთუოდ თითონ უნდა იმაცადინოს, თორემ ადვილად დაჰკარგავს თავის პოლიტიკურს უფლებას; მაგალითად, ქალაქში ისეთ ბინის დამქირავებელმა, რომელსაც სახ. გადასახადი არა აქვს გაწერილი, თვითონ უნდა განაცხადოს სურვილი არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და სათანადო საბუთებიც უნდა წარმოადგინოს, თორემ სრულებით მშრალზე დარჩება. ესეთი წესი ძალიან აბრკოლებდა და ასუსტებდა წინანდელს არჩევნებზე დემოკრატიას; მაგრამ ხალხი იმდენად დაინტერესებული იყო არჩევნების შედეგით, ისე შეგნებულად ეპყრობოდა პოლიტიკურ არჩევნებს და ისე სწადდა დემოკრატიის გამარჯვება, რომ ათასგვარ დაბრკოლებას ებრძოდა და არ ჰკარგავდა ხმას.

ეხლა-კი შიდა რუსეთში სულ სხვა სურათი იშლება. წვრილი ამრჩეველი სრულიად თავს არ იწუხებს და გულზე ხელდაკრეფილი ზის, თითქო მომავალი არჩევნები მას არც-კი ეხებოდეს. აი რამდენიმე მაგალითი: სატახტო ქალაქებში —პეტერბურგსა და მოსკოვს,—სადაც ასი ათასამდე ადის რიცხვი დაბალ-ცენზიან ბინის დამქირავებელ ამრჩეველებისა, 1- ივლისამდე, როდემდისაც ვადა იყო დანიშნული, სულ ოთხას თუ ხუთას ამრჩეველს მოუთხოვნია სიებში შეტანა, მაშინ როდესაც წინანდელ არჩევნებზე ამათი რიცხვი ათი ათასსაც აღემატებოდა; ქალაქ ტულაში მხოლოდ ორ კაცს წარუდგენია სათანადო განცხადება, კიშინიოვში ჯერ მხოლოდ ექვსს; სამარაში, სადაც ვადა უკვე გასულა, მხოლოდ 17 კაცს მოუსურვებია არჩევნებში მონაწილეობის მიღება; კამენეც-პოდოლსკში ვადა ისე დასრულდა, რომ ერთსაც არ წარუდგენია განცხადება; ქალაქ სიმფეროპოლიდან „რუსსკ. ვედომ."-ს დეპეშით ატყობინებენ: გენიჩესკის ქალაქის მოურავი აცნობებს გუბერნატორს, თუმცა ყველგან მრავალი განცხადება და ბოდიალი გავაკარი ქუჩებში, დღემდის არავის არ გამოუცხადებია სურვილი მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზეო. ასეთია ცნობები ქალაქის წვრილ ამრჩეველთა შესახებ; რაც შეეხება სოფელს, იქ საარჩევნო წესი სხვანაირია და ამიტომ ციფრებით არ შეიძლება ჯერ დახასიათდეს სოფლელ ამრჩეველთა გუნება ამ მხრით; მაგრამ შიდა რუსეთის სოფლის ცხოვრების მეთვალ-ყურენი თითქმის ერთხმად მოწმობენ, რომ გლეხობა ერთობ ინდიფერენტულად და პესსიმისტურად ეგებება მომავალ არჩევნებსაო...

რით აიხსნება ასეთი მოვლენა? იმის თქმა, ვითომ დაბალ-ცენზიანთა მასსა ნაკლებ შეგნებულიაო, არ შეიძლება, რადგან წინანდელი არჩევნები უტყუარად გვიმტკიცებენ წინააღმდეგს: მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა, ეს ამრჩეველი წელებზე ფეხს იდგამდა და ისე პოლოლობდა უფლებას; ვერც პოლიტიკურ პარტიებს გადავაბრალებთ, რადგან ბოიკოტი არავის გამოუცხადებია და, პირიქით, ყველანი იწვევენ ხალხს საარჩევნო ბრძოლაში...

ერთად-ერთი მიზეზი ამ უცნაურის მოვლენისა ის უნდა იყოს, რომ ხალხი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, უკედ ვთქვათ, ხალხმა სულ დაჰკარგა იმედი სათათბიროსი. პირველ და მეორე სათათბიროების ბედმა დაანახვა ხალხსაც, რომ ამ გზით საქმე არ გასწორდება, რომ სახელმწიფოს სვე-ბედის დადგენილი გამგებელნი კომედიათ აქცევენ სახალხო წარმომადგენლობას. ერთის წლის განმავლობაში ხალხმა ორჯელ აირჩია დეპუტატები, ორივეჯერ გადაჭრით გამოსთქვა თავისი მისწრაფებანი და აღნიშნა ის გზა, ის მიმართულება, რომელიც უნდა მიიღოს რუსეთის სახელმწიფო-საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, მაგრამ არცერთხელ მისი ღაღადი ოდნავადაც არ იქმნა შეწყნარებული, ხოლო მისი წარმომადგენელნი დევნისა და ყოველგვარ ძალმომრეობის მსხვერპლნი გახდნენ. 3 ივნისს საარჩევნო კანონმა-კი საბოლოოდ დაარწმუნა იგი, რომ ვის ხელშიაც ჯერ ძალაა, მას არც-კი ჰსურს ხალხის ხმისა და ღაღადის მოსმენა. საკვირველი არაა, რომ საზოგადოებისა და ხალხის ფართო წრეებს ასეთ პირობებში გული გაუტყდეს; ფართო წრეები ადვილად ვერ შეიგნებენ ხანგრძლივ ბრძოლისა და „ალყის შემორტყმის" ტაქტიკის საჭიროებას...

ასეა თუ ისე, ფაქტი მაინც არის და არის, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ოპპოზიციამ. 3 ივნისის საარჩევნო კანონით ისეთია საკმარისად შეზღუდულია დემოკრატიის პოლიტიკური უფლებანი, ხოლო ინდიფერენტიზმი, რომელიც თავს იჩენს ხალხში, კიდევ უფრო შეასუსტებს დემოკრატიულს ოპპოზიციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საოპპოზიციო პრესსის მოლოდინი, არჩევნების დაწყებისას ხალხის გუნება გადატრიალდება და ბრძოლა კვლავ გაიტაცებს მარცხნით მთელ საზოგადოებასაო, თვით მაღალცენზიანებსაც, საფუძველს მოკლებულია. ჯერ ყველა გარემოება, ობიექტაურისა და სუბიექტიურის ხასიათისაც გვეუბნება, რომ ამ ჟამად მთავრობის სურვილი განხორციელდება, ესე იგი, თვითმპყრობელი ბიუროკრატია მიიღებს მისთვის ესოდენ სასურველ ყურმოჭრილ ყმა სათათბიროს. მაგრამ, რა გამოვა აქედან —ეს სულ სხვა საკითხია; რას მოიგებს მთავრობა მონების დახმარებით—ამასაც ნახავს. ჩვენთვის-კი ახლაც და წინადაც ცხადი აყო, რომ ფალსიფაკაციითა და ძალმომრეობის საშუალებით ნაპოვნი „სახალხო წარმომადგენლობა", რომელსაც არც ნდობა და არც ავტორიტეტი არ ექნება უმრავლესობისა, უფრო შეუწყობს ხელს და უფრო დაგვიახლოვებს ძველის რეჟიმის სრულ ლიკვიდაციის საქმეს.

ახალი ამგავი

✦ **გაფიცულების დაპატიმრება.** ამ დღეებში გაიფიცა 19 კაცი, მესხიევის ლიტოგრაფიაში მომუშავე. 6 მათგანი უკვე დააპატიმრეს. აი მათი გვარები: გიგო ვარდუიშვილი, ვანო ლორთქიფანიძე, მიკიჩ დოვლათ-ბეგოვი, იასონ გერსამია, ვანო თუხარელი, ნიკო იპიტაშვილი. დანარჩენთ დაეძებენ. **არ** გაფიცულა მხოლოდ ორი კაცი.

✦ **დიდი უბედურება.** დიდი საცოდაობა მომხდარა სამურზაყანოში. ამ ბოლო დროს დიდის წვიმების გამო ძალაზე მოდიდებულა მდინარე ინგური. ამ მდინარეზე ბორნით გადადიოდა თურმე თავის ურმებით და ბარგი-ბარხანით 25 კაცამდე. შუა წყალში ბორნის თოკი გაწყვეტილა, წყალს გაუტაცნია ბორანი

და გადაუბრუნებია. გადაურჩენიათ მხოლოდ თორმეტი კაცი. დანარჩენი დაღუპულან.

✦ **ბალნოლოგიური სადგური.** როგორც ვიცით, 1906 წელს ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ქალაქის აბანოებს საზოგადო მნიშვნელობა მისცემოდა და შემოელოთ ამ შემთხვევისათვის მიღებული დაცვის წესები. ახლა დეპარტამენტიდან ქალალდი მოსულა, საიდანაც სჩანს, რომ შუამდგომლობა დაუკმაყოფილებიათ. ამასთანავე დეპარტამენტი თხოულობს, წარადგინონ პროექტები: 1. აბანოების არემარისა, რომელიც უნდა დაცულ იქმნას; 2. წეს-რიგი, რომელიც უნდა დაცულ იქმნას აბანოების მიდამოებში. დღევანდელი წესები გამოუსადეგრად უნდა ჩაითვალოს, რადგან ტფილისის აბანოები კერძო პირობებში იმყოფება. თავისს მხრივ სამთო მმართველობა სთხოვს დეპარტამენტს, აცნობოს აბანოების დაცვის ხარჯი რომელ წყაროდან დაიფაროს.

✦ **ექსკურსანტების დაბრუნება.** 4 ივლისს პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდნენ სახელოსნო სასწავლებლის კურს დამთავრებული მოსწავლენი, რომელნიც საექსკურსოდ იყვნენ. პეტერბურგში დარჩნენ 6 დღეს. დაათვალიერეს იქაური ქარხნები და ღირს შესანიშნავი ადგილები. ექსკურსიამ 19 დღეს გასტანა.

✦ **მკვლელობა.** 4 ივლისს, ნაშუადღევის 1½ საათზე, შუა ბაზარში ჯეგრაშვილის ეკკლესიასთან ვიღაც უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციელად ნამყოფი სილოვან ბელთაძე. ბელთაძე უგრძნობელი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

✦ **მოკლულის პოვნა.** ამ დღეებში ს. ეკში, სენაკის მახლობლად, უპოვნიათ მოკლული გუჯუ ქაჩიბაია. ქაჩიბაიას პოლიცია დაეძებდა.

✦ **პროფექტორის მოპარვა.** 4 ივლისს, შუადღისას, მიხეილის პროსპექტზე ნიკოლოზ ლუკატოს სახლიდან მოიპარეს 5000 მანეთად ღირებული პროფექტორის სხვა და სხვა იარაღი.

✦ **თავ-დასხმა.** 4 ივლისს დღისით, ზაქართვევის ვიწრო ქუჩაზე, ბუდაგოვის სახლში სპარსეთის ქვეშევრდომს ილიას მეხტი-ოღლის, როცა უკანასკნელი შინ არ იყო [illegible] ღებული კაცები. გაიტაცეს 3000 მანეთის ნივთები და 550 მ. ფული, დასჭრეს ილიას ცოლი სარა და მიიმალნენ.

✦ 4 ივლისს, სადამოს 9½, ვერის ხიდზე კასკა ახლად გაკეთებული დიდი წყლის მიდი. ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ „კრუფოკში“ ეუმბარა ეკონომ და ერთი ადიაქოთი ასტეხეს. წყალში თუჯის სქელი მიდი და მაზედ დაწყებული სქელი ფიცრები რამდენისამე საჟენის სიმაღლეზე ამოსრეს და აქეთ იქით გადაყარა. მიდი შეაკეთეს.

✦ სენაკის მაზრის სოფ. ნაესაკოვოს მცხოვრები იონა სოლომონის ძე ანჯაფარიძე, 16 წლისა, ამ ერთი წლის წინად სახლიდან წავიდა და მასუკან შინ აღარ დაბრუნებულა. ნათესავები სთხოვენ ყველას, თუ ვინმემ იცის იმის ბინადრობის ამბავი, აცნობოს სად. აბაშაში ილიკო ელიავას.

✦ 4 ივლისს, დილის 11 საათზე, ლაზარევის ქუჩაზე 82 ნომრის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი რაზმმა დროით ჩააქრო.

1 ივლისს, სადამოს 9 საათზე, მადათოვის კუნძულზე ვიღაც უცნობს ტრამვაის ლიანდაგზე პეტარდა დაედო. პეტარდა აფეთქდა. არავინ არ დაშავებულა.

4 ივლისს ტიგრან ტერ-ნიკოგოსიანის და მიხაილ სუმბათაშვილის ფოტოგრაფიიდან მოიპარეს 1000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები და აპარატები.

ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

საჭიროა თუ არა სულის საცხონებლად ქალათი, ხურჯინი და ტიკჭორა?

„როცა ადამიანი იბადება—მუშტი მოკუმული აქვს, თითქო გვეუბნება—ქვეყანა ხელში უნდა ჩავიგდოო; როცა კვდება—ხელი გაშლილი აქვს, თითქო გვამცნევს, ხომ ხედავთ, თან არაფერი მიმაქვსო“.

ეს საგულისხმიერო ჭეშმარიტება დაცულია ებრაელთა ძველ სიბრძნის კრებულში, ეგრედ-წოდებულ თალმუდში.

ყველამ იცის, რომ ჩვენ მღვდლებს ქრისტეს სჯული შესწავლილი არა აქვთ, და ებრაელთა მოძღვრება საიდან ეცოდინებათ. ამიტომაც გახლავთ, რომ ერთმა ახალ-მოდის მძარცველმა ექსპროპრიატორმა სამღვდელოების უვიცობა ერთობ ვერაგულად გამოიყენა და ამას წინად ერთი დარბაისელი ტფილისელი მღვდელი შეაცდინა, ვითომ და პანაშვიდის დასაკვეთად ეწვია და საუბრის ბოლოს ეთხრა, სხვა-და-სხვანაირი სანოვაგე უნდა მოგართვათ და ერთი ხურჯინი, ქალათა და ტიკჭორა მიბოძეთო. გახარებულმა მღვდელმა იმ წამსვე მისცა, რასაკვირველია, ნათხოვარი ნივთები, რის შემდეგ ეშმაკი ქუმარი კვალ-წმინდად გაჰქრა.

მადა აშლილ საბრალო მღვდელს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ბოლოს-დაბოლოს საიქიოს სანეტარო ადგილი აკვე სამგზავროდ ნამდვილ ქრისტიან მოძღვრისათვის უეჭველად საჭიროა საკმაო საგძალი—მხარზე გადაგდებული გემრიელ ლუკმებით გატენილი ხურჯინი, [illegible] ოლიაში ამოდებული ერთი ტიკჭორა კახური ღვინო და მარცხენა ხელში—ხილით სავსე ქალათი.

სასტიკად ნუ დავჭრახავთ საბრალო სასულიერო გვამს: იმას თალმუდის სიბრძენე შესწავლილი არა აქვს და არ იცის, რასაკვირველია, რომ ზეციერ სასუფეველის გზაზე ხურჯინ-ქალათ-ტიკჭოროსნებს არ უშვებენ.

ერთი ჩვენ თავს დავეკითხოთ, თუ რანაირი ღვთაების წარმომადგენელია ვითომ და ქრისტიანი მღვდელი. მოდის მასთან მისთვის სრულებით უცნობი და პირველად ხილული ადამიანი; წესის ასრულებას სთხოვს და ჯილდოს აძლევს. ამას არა კმაყ[illegible] საბრალო სულდგმული და გემრიელ ქრთამს სიხარულით ეგებება ერთადერთი გასამართლებელი საბუთი აქვს ჩვენ მღვდელს:—სწორედ ის, რომელიც პეტერბურგის ერთმა პოლიციის ბოლოულმა მოიყვანა, როცა უეცრად გზაზე იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ეეფეთა, გულ-და-გულ მასთან მივიდა და პირდაპირ ცხვირ-პირში ახალა ბოქაულს მრისხანე შეკითხვა: „ჩქარა თქვი, ქრთამებს იღებ თუ არაო!“ „თვი .. თონ მ... ო...აქვთ, თქვენო... უდიდებულესობავ!“ დაბმული ენით უპასუხა ზარდაცემულმა ბოქაულმა.

არ მახსოვს, რომელ ქვეყანაში ქრთამის მიმღებსადა ქრთამის მომტანსაც ერთნაირის თვალით უყურებენ. ეს სწორი და სამართლიანი ქცევაა. მიმტანი რყვნის, მიმღები ირყვნება. ისინი სასირცხო საქმეში მოზიარენი, ერთ მყრალ მანქანის განუყრელ ნაწილები არიან და ერთმანეთისაგან მაინ განცალკევება შეუძლებელია. ჩვენ სახოგადოებაში კი პირ-ახდილად ამბობენ ხოლმე, ამა და ამ „ჩინოვნიკს“ ამდენი და ამდენი ქრთამი მივეცოო, და არც კი იცხვენიათ ამ აღსარებისათვის. ყველა ეს ნათლად მოწმობს, თუ რა დაბალი სარისხისაა დღეს საზოგადოების ზნეობრივი გრძნობა.

ვიცი, რომ ჩვენ ტფილისელ მღვდელს გააკვირვებს და შეაწუხებს ჩემი ნაწერი—თვითონ მე გაძარცული ვარ და კიდევ მე მიკიცხავნო, იფიქრებს იგი თავის გულში.

მოსწყვიტეთ თქვენი გული ტიკჭორებსა და ხურჯინებს, უსაგზლოდ შეუდექით ჭეშმარიტების გზას, სულიერო მოძღვარო, და არასოდეს აღარ ჩავარდებით სასირცხო და სასაცილო მდგომარეობაში,—გულ-წრფელად ვუპასუხებთ ჩვენ.

ი. ნაკაშიძე.

ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ

(წერილი გორიდან)

1 ივლისს ს.—ში გაიმართა დებატები ს.-ფ.-სა და ს. დ. შორის. რეფერენტმა ს.-ფ.-მა წაიკითხა რეფერატი მიწის საკითხის შესახებ. დედა-აზრი რეფერატისა ის იყო, რომ ს.-ფედერალისტების აგრარული პოლიტიკა დეცენტრალისტურია, ს.-დია კი ცენტრალისტურია. თვითეული პატარა კუთხე უნდა იყოს პატრონი თავის მიწებისა. ს.-დს კი უნდათ: 1. ტყეები, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვთ, წყლები და მადნები, გადასცენ სახელმწიფოს; 2. თვითეულ პატარა ოლქში, ან მაზრაში მიწები, ჩაშონარტმევი დიდ მემამულეთა, საუფლისწულო და სხვათაგან, მიეზომოთ გლეხებს, რომელთაც უნდა გადაიხადონ რენტა. რენტა არის განსხვავება ნაყოფიერ მიწის და მწირ მიწის მოსავალთა შორის, რომელსაც დღეს ითვისებს დიდი მემამულე. ს. დ.-ების მუნიციპალიზაციის დროს კი ამ რენტას მიითვისებს მუნიციპალიტეტი; მაშასადამე, რენტა საშინელი, აუტანელი გადასახადია და მალე გააკოტრებს გლეხებს და ჩააგდებს მათ ჩარჩების ბრჭყალებში. ამ რიგათ ერთის მხრით გაძლიერდება მთავრობა, რაკი ქვეყნის სიმდიდრე იმის ხელში იქნება, მეორეს მხრით გაღატაკდება მშრომელი გლეხ-კაცობა, რომელიც ხელში ჩაუარდება ჩარჩებსაო. ამასთანავე რეფერენტი ამტკიცებდა, რომ გლეხი არ არის წვრილი კაპიტალისტი ან ბურჟუა, როგორც ეს ს. დ.-ბსა ჰგონიათ: გლეხი იგივე მუშაა, რომელიც ხმაროობს ან ჰყიდის მხოლოდ თავის მარჯვენის ნამუშევარს. ქალაქის პროლეტარები და გლეხები ძმები არიან და არა მოპირდაპირე, მტრები; ამას გარდა ს.-დ-ბის ის აზრი, ვითომ კაპიტალიზმის განვითარების გამო, ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატთა რიცხვი მეტი შეიქმნება, ვიდრე გლეხებისა და სხვა მესაკუთრეებისა, არ გაამართლა ევროპისა და ამერიკის ცხოვრებამ. ფვით ინგლისში, სადაც სოფლელთა რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე ქალაქელთა, წვრილ და მსხვილ მესაკუთრეთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე მარტო ქარხნის მუშებისა, მაშასადამე, თუ გლეხებმაც ვერ შეიგნეს სოციალიზმი, გლეხებიც არ შეუერთდნენ ქალაქის მუშებს, სოციალიზმი ვერ განხორციელდებაო. ლეონტიევი იდეალი ს. ფ.-სა—ეს არის: თვითეულ მაზრაში ან ოლქში მიწა უნდა გადაიდეს მთლად მიწის მუშების ხელში. მიწა უნდა დანაწილდეს თანასწორად სოფელთა შორის და თვითეულ სოფელში მიწის მუშათა შორის. როდესაც მიწის მუშები დათანასწორდებიან მიწის მითვისების მხრით, ისინი შეადგენენ ამხანაგობებს და შეერთდებიან, შეკავშირდებიან, რაიცა ხელს შეუწყობს სოციალიზმის განხორციელებას.

ს.-დ.-ის პირველმა ორატორმა ბევრი აბდა უბდა ილაპარაკა რეფერენტის წინააღმდეგ; რომ იტყვიან ლობე-ყორეს მოედოო, ისე იყო სწორედ. იგი ძლიერ გააოცა იმ აზრმა, რომ გურიის მიწები გურულებს უნდა ეკუთვნოდეთ. ეს აზრი „ხულიგანური აზრიაო“. ს.-დ-ბს უნდათ თურმე, რომ პეტერბურგის მთავრობას ნება ჰქონდეს, ვინც უნდა ჩამოასახლოს გურიაში, იმერეთში, ერთს სიტყვით, ყველგან. აი მართლაც „ხულიგანური აზრი“. მართლაც და „ხულიგანურად“ მოაზრე ს.-დ—ბო, ამგვარი დიდი უფლება, რომ ცენტრალისტურ მთავრობას მივანიჭოთ, მაშინ ხომ აუცილებელი იქნება ამ მთავრობას ხელში ჩაუგდოთ აუარებელი მუდმივი ჯარები, რადგან რუსეთის იმპერიის დიდი ნაწილი მჭიდროდ არის დასახლებული. სხვათა შორის ჩვენში, გურიაში, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, თავისუფალი მიწა აღარ არის და თუ მთავრობას სამხედრო ძალა არ ეყოლება, ისე ვერავის ვერ ჩაასახლებს ვერსად ადგილობრივ მკვიდრთ ნებადაურთველად. აქ კი არა, ჩვენის აზრით, მთავრობას ციმბირის ადგილებზედაც არ უნდა მიუწვდენოდეს ხელი, თუმცა იქ ბევრია თავისუფალი მიწა. შეერთებულ შტატებში, როცა ბევრი თავისუფალი მიწა იყო, არავის არ უშლიდნენ იქ გადასახლებას. ციმბირში იმდენი თავისუფალი ადგილია, რომ თვით ციმბირელები სიამოვნებით მიიღებენ გადასახლებულთ. ჩვენ მთავრობას არ უნდა მიენდოს ასეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი საქმე, რადგან ის ვერსად და ვერასოდეს ვერ აღასრულებს რიგიანად სამეურნეო და სამრეწველო მოვალეობას. ამას ამბობენ ს.-ფ.—ბი მთავრობის ყოველ გვარ უფლებაზე, მაგალითად, მოსწყვიტეთ თქვენი გული ტიკჭორებსა და ხურჯინებს, უსაგზლოდ შეუდექით ჭეშმარიტების გზას, სულიერო მოძღვარო, და არასოდეს აღარ ჩავარდებით სასირცხო და სასაცილო მდგომარეობაში,—გულ-წრფელად ვუპასუხებთ ჩვენ.

ი. ნაკაშიძე.

ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ

(წერილი გორიდან)

1 ივლისს ს.—ში გაიმართა დებატები ს.-ფ.-სა და ს. დ. შორის. რეფერენტმა ს.-ფ.-მა წაიკითხა რეფერატი მიწის საკითხის შესახებ. დედა-აზრი რეფერატისა ის იყო, რომ ს.-ფედერალისტების აგრარული პოლიტიკა დეცენტრალისტურია, ს.-დია კი ცენტრალისტურია. თვითეული პატარა კუთხე უნდა იყოს პატრონი თავის მიწებისა. ს.-დს კი უნდათ: 1. ტყეები, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვთ, წყლები და მადნები, გადასცენ სახელმწიფოს; 2. თვითეულ პატარა ოლქში, ან მაზრაში მიწები, ჩაშონარტმევი დიდ მემამულეთა, საუფლისწულო და სხვათაგან, მიეზომოთ გლეხებს, რომელთაც უნდა გადაიხადონ რენტა. რენტა არის განსხვავება ნაყოფიერ მიწის და მწირ მიწის მოსავალთა შორის, რომელსაც დღეს ითვისებს დიდი მემამულე. ს. დ.-ების მუნიციპალიზაციის დროს კი ამ რენტას მიითვისებს მუნიციპალიტეტი; მაშასადამე, რენტა საშინელი, აუტანელი გადასახადია და მალე გააკოტრებს გლეხებს და ჩააგდებს მათ ჩარჩების ბრჭყალებში. ამ რიგათ ერთის მხრით გაძლიერდება მთავრობა, რაკი ქვეყნის სიმდიდრე იმის ხელში იქნება, მეორეს მხრით გაღატაკდება მშრომელი გლეხ-კაცობა, რომელიც ხელში ჩაუარდება ჩარჩებსაო. ამასთანავე რეფერენტი ამტკიცებდა, რომ გლეხი არ არის წვრილი კაპიტალისტი ან ბურჟუა, როგორც ეს ს. დ.-ბსა ჰგონიათ: გლეხი იგივე მუშაა, რომელიც ხმაროობს ან ჰყიდის მხოლოდ თავის მარჯვენის ნამუშევარს. ქალაქის პროლეტარები და გლეხები ძმები არიან და არა მოპირდაპირე, მტრები; ამას გარდა ს.-დ-ბის ის აზრი, ვითომ კაპიტალიზმის განვითარების გამო, ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატთა რიცხვი მეტი შეიქმნება, ვიდრე გლეხებისა და სხვა მესაკუთრეებისა, არ გაამართლა ევროპისა და ამერიკის ცხოვრებამ. ფვით ინგლისში, სადაც სოფლელთა რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე ქალაქელთა, წვრილ და მსხვილ მესაკუთრეთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე მარტო ქარხნის მუშებისა, მაშასადამე, თუ გლეხებმაც ვერ შეიგნეს სოციალიზმი, გლეხებიც არ შეუერთდნენ ქალაქის მუშებს, სოციალიზმი ვერ განხორციელდებაო. ლეონტიევი იდეალი ს. ფ.-სა—ეს არის: თვითეულ მაზრაში ან ოლქში მიწა უნდა გადაიდეს მთლად მიწის მუშების ხელში. მიწა უნდა დანაწილდეს თანასწორად სოფელთა შორის და თვითეულ სოფელში მიწის მუშათა შორის. როდესაც მიწის მუშები დათანასწორდებიან მიწის მითვისების მხრით, ისინი შეადგენენ ამხანაგობებს და შეერთდებიან, შეკავშირდებიან, რაიცა ხელს შეუწყობს სოციალიზმის განხორციელებას.

ს.-დ.-ის პირველმა ორატორმა ბევრი აბდა უბდა ილაპარაკა რეფერენტის წინააღმდეგ; რომ იტყვიან ლობე-ყორეს მოედოო, ისე იყო სწორედ. იგი ძლიერ გააოცა იმ აზრმა, რომ გურიის მიწები გურულებს უნდა ეკუთვნოდეთ. ეს აზრი „ხულიგანური აზრიაო“. ს.-დ-ბს უნდათ თურმე, რომ პეტერბურგის მთავრობას ნება ჰქონდეს, ვინც უნდა ჩამოასახლოს გურიაში, იმერეთში, ერთს სიტყვით, ყველგან. აი მართლაც „ხულიგანური აზრი“. მართლაც და „ხულიგანურად“ მოაზრე ს.-დ—ბო, ამგვარი დიდი უფლება, რომ ცენტრალისტურ მთავრობას მივანიჭოთ, მაშინ ხომ აუცილებელი იქნება ამ მთავრობას ხელში ჩაუგდოთ აუარებელი მუდმივი ჯარები, რადგან რუსეთის იმპერიის დიდი ნაწილი მჭიდროდ არის დასახლებული. სხვათა შორის ჩვენში, გურიაში, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, თავისუფალი მიწა აღარ არის და თუ მთავრობას სამხედრო ძალა არ ეყოლება, ისე ვერავის ვერ ჩაასახლებს ვერსად ადგილობრივ მკვიდრთ ნებადაურთველად. აქ კი არა, ჩვენის აზრით, მთავრობას ციმბირის ადგილებზედაც არ უნდა მიუწვდენოდეს ხელი, თუმცა იქ ბევრია თავისუფალი მიწა. შეერთებულ შტატებში, როცა ბევრი თავისუფალი მიწა იყო, არავის არ უშლიდნენ იქ გადასახლებას. ციმბირში იმდენი თავისუფალი ადგილია, რომ თვით ციმბირელები სიამოვნებით მიიღებენ გადასახლებულთ. ჩვენ მთავრობას არ უნდა მიენდოს ასეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი საქმე, რადგან ის ვერსად და ვერასოდეს ვერ აღასრულებს რიგიანად სამეურნეო და სამრეწველო მოვალეობას. ამას ამბობენ ს.-ფ.—ბი მთავრობის ყოველ გვარ უფლებაზე, მაგალითად,

---

ᲪᲘᲪᲮᲚᲘ

სიცოცხლე მწყურის!

სამარისებური სიჩუმეა, ყველაფერი სდუმს; ტყე სამგლოვიარო ძაძით შემოსილა და თავისებურად აღარ შრიალებს. ირგვლივ დუმილია გამეფებული, მხოლოდ ლურჯი ცა და მასზედ მოკაშკაშე ვარსკვლავები ჩვეულებრივ ვერცხლის ფრად გამოსჭვივიან ტყის ფოთოლთა შორის და თავიანთ ბრწყინვალე შუქს აყენებენ ტყის დუმილით მოცულ სახეს.

სიწყნარეა ტყეში. მხოლოდ ხანდახან ტყის ამონაკვნესად გამოისმის რაღაც ფრინვლის ხიდან-ხეზე გადაფრენა და კვლავ ყოველივე სდუმდება...

აქვე, ამ გაუვალ ტყეში არის გამოქვაბული, რომლის შესავალ კარებთან ხის კუნძზე ზის ვიღაც მოხუცი, ჯოხზე დაყრდნობილი, და გასცქერის შორიდან მომავალ ვიღაც ჭაბუკს, რომელიც ჩქარის ნაბიჯით მოხუცისაკენ მოეშურება.

ტყემ მთლად შეაყენა თავისი სუნთქვა, სიო შესდგა, ფოთლები აღარ ინძრევა, ფრინველები განაბულნი, თითქოს შეშინდენო, ხის ტოტებს ქვეშ მიიყუჟნენ. ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა...

— სიცოცხლე მწყურის!—გაისმა მიწყმენდილ ტყეში გაფითრებულ სახით მოხუცის წინ დაჩოქილ ჭაბუკისა.—სიცოცხლე მწყურის, მასწავლე!—ევედრება მოხუცს ჭაბუკი.

მისი დაღვრემილი თვალები შესავედრებლად ბრწყინავენ. გულ-ამოსკვნილი მოუთხრობს მოხუცს, თუ როგორ გამოექცა საზიზღარ ცხოვრებას, გამოექცა ყველა იმას, რასაც უვიცნი ნეტარებას უწოდებენ...

ჭაბუკი მდიდარი და ლამაზის შეხედულობისა იყო. მაგრამ სიმდიდრე და დიდება არ აკმაყოფილებდა. სიყვარულმა კიდევ, ამ ჩრდილმა ბედნიერებისამ, ვერ შესძლო დაეტკბო მისი დატანჯული სული: მას სწყურის ნამდვილი სიცოცხლე, რომ მისმა დაჩაგრულმა გულმა იგრძნოს ბედნიერება ნამდვილი და არა სიმდიდრით და დიდებით შესყიდული...

ჭკვიან მოხუცს უნდოდა ერჩია, მიეტოვებინა საზიზღარი ცხოვრება და მისულიყო მასთან წყნარ სენაკში, სადაც იგი განმარტოებული, ცასთან საუბარში, ბედნიერებას ჰპოებდა... მაგრამ მოხუცს შეებრალა, რომ ჭაბუკი, ასე ადრე სიცოცხლით სავსე, მოწყვეტილიყო ცხოვრებას. მან გადასწყვიტა, ჯერ გამოეცადნა.

— სიცოცხლე და ბედნიერება სიცოცხლისა სიყვარულშია!—უთხრა მოხუცმა:—ამიტომ გიყვარდეს... ხალხი...

ამ სიტყვებით გამხნევებული ჭაბუკი განშორდა მოხუცს, რომელიც ნაღვლიანად გასცქეროდა მას...

ტყე ისევ სდუმდა.

* * *

— სიცოცხლე მწყურის!..—გაფითრებული ჭაბუკი მისუსტებულის ხმით კვლავ ევედრება მოხუცს, სთხოვს ასწავლოს გზა ნამდვილ ცხოვრებისა...

მოუთხრობს მოხუცს, თუ რა ღრმა სიყვარული განუცხადა ხალხს, ელაპარაკა უმაღლეს ბედნიერებაზე, მაგრამ მას სასაცილოდაც არ ეყო, რადგან ჭაბუკის უსაზღვრო სიყვარულმა ვერ უშველა მშიერ-მწყურვალებს... მთელი თავისი სიმდიდრე დაურიგა ღარიბებს, მაგრამ მაინც ურიცხვია გაჭირვებული...

— სიცოცხლე მწყურის, მასწავლე გზა ცხოვრებისა, მოხუცო!

თრთოლამ აიტანა მოხუცი. დაღვრემილმა დაბურულ ტყისკენ გაიხედა და წარმოსთქვა:

— ისწავლე, შეიგნე სიბრძნე კაცისა, მხოლოდ სწავლაა ნამდვილი გზის მაჩვენებელი...

ჭაბუკი განშორდა მოხუცს. ტყე კვლავ სდუმდა.

* * *

— სიცოცხლე მწყურის!..

ეხლა ჭაბუკი იმედ დაკარგული ევედრება მოხუც ცხოვრების გზის გაკვლევაზე. ერთი ამიც და თითქოს ტირილი უნდა წასკდეს და მით დაარღვიოს ტყის სიმშვიდეო...

ჭაბუკმა ბევრი ისწავლა, ბევრი იძია, შეიგნო სიბრძნე კაცისა, მაგრამ როდესაც ხალხთან მივიდა სწავლის გადასაცემად, იგრძნო თავისი სისუსტე, მიჰხვდა სიუძლურეს, რომ მან მეასედიც არ იცის იმისი, რასაც ნამდვილ ცხოვრებას ეძახიან, ყველა ის, რაც შეესწავლა, შორს გასცილებოდა ნამდვილ ცხოვრებას. ეს უშფოთებდა სულს მოუთმენელ ჭაბუკს და ხმა მაღლა შესძახა და მოხუცს:

— სიცოცხლე მწყურის! სადაა სიცოცხლე? სადაა ბედნიერება, მოხუცო? მითხარი...

ახლა კი მიჰხვდა მოხუცი, რომ ჭაბუკს სიცოცხლეში სასიხარულო არა დარჩენიარა, რომ მან გაიგო ყველა საზიზღარი მხარე ცხოვრებისა, გაიგო, თუ რა უბედურებაა ხალხში ცხოვრება...

— ილოცე, დარჩი აქ!..—ურჩია მოხუცმა.

* * *

მთელ დღეებს გულ-მხურვალე ლოცვებში ატარებდა ჭაბუკი. თითქოს უპოვა თავის დატანჯულს სულს ის ბედნიერება, რასაც ამდენ ხანს დაეძებდა. მაგრამ, აი, უცბად ჭაბუკი გაჰქრა. იგი წყნარ ტყიდან ისევ ახმაურებულ ცხოვრებისაკენ წავიდა. მიეშურებოდა იქით, სადაც მეფობდა ტანჯვა-ვაება, შიმშილ-წყურვილი.

გაკვირვებული მოხუცი გონს ვერ მოსულიყო, ვერ მოეფიქრნა, თუ სად უნდა წასულიყო ჭაბუკი.

* * *

იქ, ტყის გარეთ, სოფლელ ხმაურობს და დუღს. იქ მედიდურად ამართულა უზარმაზარი ქალაქი და თავის სიძლიერით სულს უხუთავს ყველა უძლურს, იქ ხმა-მაღლა გაისმის ქვითინი მშიერთა და ტანჯულთა, მაგრამ მაინც იქ დღეს რაღაც უქმეა ჩაგრულთა...

თავი მოუყრია ყველას, ყმაწვილს და და ბებერს, დიდს და პატარას, ქალს და კაცს, წინ უძღვით მაღალი დროშა, რაზედაც დიდის ასოებით აღნიშნულია: სიმართლე, თავისუფლება, ბედნიერება და თანასწორობა. გამხნევებულნი ხმა მაღალის სიმღერით დაიარებიან ახმაურებულ ქალაქის ქუჩებში... ყველა კითხულობს დროშებზე წაწერილ ძვირფას სიტყვებს და ამით ყველას ემატება სიმხნევე, სიყვარულიდა სიძულვილი—ისინი მიდიან სულ წინ, წინ ვიღაცის მიმართ მუქარით.

ამ ჯგუფში სდგას ჭაბუკი, აუმართავს მაღალი დროშა ბედნიერებისა და ნამდვილ ცხოვრების მაჩვენებელი და უბედურებასთან ბრძოლის ველზე იწვევს ყველას.

* * *

დღეს რაღაცას ხმაურობს ტყე. ფრინველებმაც არა ჩვეულებრივ მორთეს ჟივილ-ხივილი. ცაც მოიღრუბლა, თითქოს მაღლიდან ვიღაც ეწყრებოდეს და სამუდამო წყევა-კრულვას უგზავნიდეს ძირს დედა-მიწას...

თავჩაღუნული წყნარად ევედრება მოხუცი განრისხებულ უფალს... უცბად შესწყვიტა მოხუცმა ლოცვა. მიიხედა და იქვე გვერდით შეამჩნია ჭაბუკი. მას თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდა, სახე სულ მთლად სიხარულის ალს მოეცვა. გულის მკერდიდან წვრილად გადმოსჩქეფდა წითელი სისხლი და თითქოს ყოველ იმის სისხლის ჩქეფაზე, მისი ტანჯული სული უახლოვდებოდა რაღაც საიდუმლოებას...

— ეე გავიგე ბედნიერება, ვიპოვე ნამდვილი სიცოცხლე!—წამოიძახა ჭაბუკმა.

ნაწყვეტ ნაწყვეტად უამბობდა ჭაბუკი მოხუცს, თუ როგორ იპოვა მან გზა ჭეშმარიტებისა, როგორ შეუხუთა სული და მოთმინებიდან გამოიყვანა დაბეჩავებულ და ყურმოჭრილ ყმად გამხდარ ხალხის მდგომარეობამ. მათ სწყუროდათ ბედნიერება, თავისუფლება, სიყვარული, მაგრამ მან მხოლოდ მაშინ იცნა მფლობელი, მაშინ სცნო თავისი თავი ბედნიერად, როდესაც გაერია მშიერ-მწყურვალთა შორის და თავისუფლების დროშა ამართა. ყველა ის, რაც ასწავლა ოსტატმა, სამუდამოდ ვერა ჰკურნავდა იმის წყლულ გულს. ეხლა კი...

დიდხანს, დიდხანს იბრძოლა იგი, სანამ ტყვიამ არ გაუგმირა გმირული გული, სავსე ხალხის სიყვარულით. აქეთ მოაშუა, რომ უკანასკნელად მაინც, სიკვდილის წინ, გამოეთხოვოს, თავ ს მასწავლებელს..

— ეეე, მოვშორდე ამ არე-მარეს საუკუნოდ!—ბუტბუტებდა ჭაბუკი:—ეეე, დავიდუჭო ბრძოლაში, ბაგრამ მე ბედნიერი ვარ... სიცოცხლე, მოხუცო, ლოცვაში კი არა, ბრძოლაშია, ბრძოლასთან გამარჯვებაში და ახალ ცხოვრების მოლოდინში. სიცოცხლე ბრძოლაშია... ჭაბუკი გაიდიმა და დაეცა მიწაზე. ერთ-ხელ კიდევ გაახილა თვალები და უკანასკნელად წამოიძახა: „სიცოცხლე და ბედნიერება ბრძოლაშია“...

სამუდამოდ შესწყდა გულის ცემა ჭაბუკისა, მაგრამ ღიმილი ბედნიერებისა იმის ტუჩებს არ მოსცილებია.

დიდხან უყურა დაღვრემილმა მოხუცმა ჭაბუკის გაცივებულ გვამს, რომელმაც ნამდვილი სიცოცხლე და ბედნიერება სიკვდილში ჰპოვა...

ტყე კვლავ სდუმდა...

გ. ფალიბაშვილი.

რაც უნდა დიდი საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდეს ტყეს, უმჯობესია ტყე ჩაჰბარდეს თვით ხალხს, ვიდრე მთავრობას. ერთი სოც.-დ.—ი ამტკიცებდა, რომ სოც.-დ.-ების პროგრამის ძალით, მადანი მუნიციპალიტეტს მიეცემა და არა ხაზინასაო! ძნელია კამათი ისეთ კაცთან, რომელსაც თავისი პროგრამა არ წაუკითხავს. რენტაზე რაღა გვეთქმის. თავის თავად ცხადია, რომ რენტა ეცნაური რამ არის. ამიტომაც ს.-ფ.—ბი უარჰყოფენ რენტას და აღიარებენ სამაგიეროდ პროგრესსიულ გადასახადს შემოსავლის კვალობაზე. დიაღ, ს.-დ.—ბი გაოცებით კითხულობდნენ, როგორ შეუძლიან თვით ხალხს გაინაწილოს მიწები, მოაწყოს თავისი საქმეები, თუ ცენტრალისტური მთავრობა საქმეში არ გაერევა. ერთის სიტყვით, ხალხი ბალღათ წარმოუდგენიათ, მთავრობა გამდელად, რომელიც ვითომ ზრუნავს ხალხისთვის. ტყეულად იმართლებენ თავს, როცა ამბობენ: ჩვენი მთავრობა, რესპუბლიკა! მთავრობა, კარგი იქნებაო! მთავრობა ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე ყოფილა. ყველა ამასთან ერთად ს.-დ.—მა კვლავ გაიმეორეს ცრუ და გაცვეთილი აზრი—ერთად ერთი მუშათა პარტია არის ს.-დ—ია...

მკითხველებს მოკლედ გავაცანით დებატების შინაარსი, ახლა გადავიდეთ ს.-დ—ების ავადმყოფობად გადაქცეულ ზნეჩვეულებებზე. სანამ კრება გაიხსნებოდა, ბატონი ს.-დ—ბი, ჯგუფ-ჯგუფად დამდგარნი, მოწინააღმდეგეებს უცქეროდნენ ისე, როგორც მშიერი მგლები ცხვრებს. ეს არის მათი პოლიტიკურათ მოუმწიფებლობა.

ამას გარდა ზოგიერთ ვაუბატონებმა მოისურვეს თავმჯდომარედ უსათუოდ ს.-დ—ი ყოფილიყო და კადევაც გაიყვანეს თავიანთი. კრება გაიხსნა ნაშუადღევის ორ საათზე. ჩაეწერნენ ორატორები, მაგრამ, თავმჯდომარის წყალობით, ასე განაწილდა ორატორების ჩაწერა, თუ ს.-ფ—ბის ერთი ორატორი ილაპარაკებდა, ს.-დ—ტს ოთხს უნდა ელაპარაკა. ლაპარაკის ვადა განსაზღვრული იყო თითო ორატორისთვის ორის საათით. მკითხველი მიხვდება სად დამარხეს ძაღლის თავი. თუ კრება ორ საათზე გაიხსნა და თუ ერთი ს.-ფ—ი ორატორი ილაპარაკებდა ორ საათს, შემდეგ უნდა ელაპარაკნა ს.-დ—ბის ოთხს ორატორს, ცალკ-ცალკე თვითეულს ორ ორ საათს, რომელიც გაგძელდებოდა ღამის თორმეტ საათამდის. ამის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ხალხი დაიშლებოდა, პასუხი უნდა გაეცა ს.-ფ—ტს. ამ რიგად გამარჯვება ს.-დ—ბს დარჩებოდათ. როდესაც ხალხი დაუფიქრდა ამას, წინააღუდგა ესდეკების პოლიტიკას და ორი საათის მაგიერ ორატორების ლაპარაკი განსაზღვრა ნახევარის საათით. ს.-ფ—ბი ყველაფერზე ეთანხმებოდნენ. იწყეს ლაპარაკი ს.-დ—ბის ორატორებმა; როგორც მოსალოდნელი იყო, ქუჩურის სიტყვებით მიჰყვნენ ს.-ფ—ბის ლანძღვა-გინებას და ლიტონის სიტყვებით დაატკბეს თავიანთი გული. სწორედ კომედია იყო, რომ შინაარსით დრამა არა ყოფილიყო. ბევრი ჩვენც გვაცინეს უთავბოლო ლაოთაიებით და ანეგდოტებით. მაგალითად, ს.-ფ—ო, სთქვეს, შეაყოლეთ ცხრა საათის მატარებლით, ჩამოდანი არ დაგრჩეთ, და სხვა. როგორც იყო გაათავეს გძელი ზღაპრები და თავიანთი სიტყვები ასე დაამოლოვეს: წადით, ს.-ფ—ბო, ეტაკეთ ფოთში ელვატარს და ზღვაში გადააგდეთო. აი უკანასკნელი იმათი სიტყვები.

ბოლოს ს.-ფ—ბის ორატორმა ფაქტებით დაამტკიცა ს. დ—ბის უვიცობა და ულოღიკობა და შემდეგ შეუღგა თავის პროგრამის დახასიათებას. რაღა თქმა უნდა, ს.-დ—ბი შეშფოთდნენ და, იმის ნაცვლად, რომ სიტყვითვე და საუთებით გაეცათ პასუხი, მიმართეს სხვანაირ „პოლიტიკას“. იცით რას, მკითხველო?! ვწითლდები მათ მაგიერ და ვერ მომიხერხებია დაწერა... შეთხზეს, ვითომ ს. ფ—ბის ერთმა წევრმა წიხლი მოუნია ჩრდილში მჯდომს ს.-დ—ბის ორატორს, მან ეს იუკადრისა და ძმა-ბიჭების წყალობით მოახდინა „აბსტრუქცია“, გამოვარდნენ ს.-დ—ბის პარტიის წევრები და აურზაურით დაშალეს კრება. მკითხველი მიხვდება, რომ ეს განგებ შეთხზულია ს.-დ—ბის მხრით, განა საფიქრებელია, რომ ს.-ფ—ბის ორატორის ლაპარაკის დროს ისევ ს.-ფ—ს ხელი შეეშალა! ისედაც ხელის შემშლელი ბევრი იყო. ყოჩაღ სოციალისტებო! გეტყობათ, კარგად გცოდნიათ „პოლიტიკა“ და იშუამდგომლეთ, რომ ვიტეს ადგილზე დაგნიშნონ ჯერ ჯერობით მშვიდობით და განგრძეთ კვლავ ასეთი საქმიელი.

დასასრულ ბოდიშს ვითხოვთ იმ ხალხის წინაშე, რომელიც მოვიდა სიმართლის გასაგებათ, მაგრამ ზოგიერთა ბატონების წყალობით უსიამოვნობის მეტი არაფერი უნახავს. აგრეთვე ბოდიშს ვითხოვთ ამხ. რეფერენტის წინაშე, რომ წინ-დაწინვე ვერ გავაგებინეთ და ვერ გავითვალისწინეთ აქაური ს.-დ—ბის ზნე-ჩვეულება.

ალექსანდრე.

დაბარალებულთა სასარგებლოდ

გიგზავნით ამასთან ერთად, ფოსტის ხარჯის ორი აბაზის გამოკლებით, ორმოცდა ოთხი მანეთი-ნახევარს ქ. განჯაში მოგრეგიდს მოუსავდობით დაზარალებულ მეგრელთა სასარგებლოდ. ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადო ქალბატონ ქალ-ბატონებს, რომელთაც სიამოვნებით გამოიდეს თავიანთი წვლილი დამშეულ მოძმეთა სასარგებლოდ.

ანდრია ამბოკაძეს 3 მ., მამა კონსტანტინე სუხიაშვილს 2 მ. 50 კ., თავ. ვარდენ წულუკიძეს 2 მ., ბ. დუკა ხარაძეს 2 მ., დორთქიფანიძეს 2 მ., ბდატონ აბულაძეს 2 მ. ბ. ბერძენიშვილს 2 მ., კონსტანტინე ჯაჯანაშვილს 2 მ., მიხეილ სარაჯიშვილს 1 მ. კონსტანტინე ოდიშარიას 1 მ., მასწავლებელს ჩარექოს 1., კლიმენტი თოფურიძეს 1 მ, ბდატონ ხიზანაშვილს 1 მ., ალექსი მდებრიშვილს 1 მ., მიხეილ ნოდიას 1., ივანე ჩინიჯიშვილს 1 მ., თინათინა მიხეილის ასულს კონტრიძეს—1 მ., გიორგი სიხარულიძეს 1 მ., ნიკოლოზ მჭედლოვს 1 მ., კონსტანტინე დუმბაძეს 1 მ., Керимъ Фатаховъ-ს 1 მ., Майманcъ-ს 1 მ., Владиміръ Бобилевъ-ს 1 მ., Рутковскій-ს 1 მ., Каграманбековъ-ს 1 მ., ვანო შიუკაშვილს 90 კ., თადეოზ მიდორაკვას 50 კ., მოზდოკელს 50 კ., გიორგი ჩიხლაძეს 50 კ., Павелъ Якушевскій-ს 50 კ., Александръ Волковъ-ს 50 კ., Абрамъ Баргъ-ს 50 კ., Гаджіевъ-ს 50 კ., Джафаровъ-ს 50 კ., გიორგი მაისაშვილს 50 კ., სულ 40 მანეთი და 90 კ. აქედან ექვსი მანეთი გადმოგცა ბ. მიხეილ ნოდიამ მის მიერ შეგროვილი ამაგვე მეგრელთა სასარგებლოდ, რისთვის გულითად მადლობას მოგახსენებ ბ-ნ ნოდიას, რომ კეთილი ინება და ჩემთან ერთად შრომა გასწია ფულის მოგროვებაში.

კონსტანტინე ოდიშარია.

გიგზავნით 11 მ. და 5 კ., რომელიც მე მოვაგროვე ხინში დამშეულ ბატარა ქართველების სასარგებლოდ. კოხოვთ ფული გადასცეთ და სია დამიბეჭდოთ.

შემოსწირეს: მირიან ბურჭულაძემ, ალექსანდრ ბახტაძემ, ვიქტორ მამალაძემ, ნ. ქერნოვისამ და მდივდამა სპ. კორდულაძემ—თითო მან; გიორგი თარგამაძემ—90 კაპ.; გასტანგ ცაგარეიშვილმა, ნუცა მაჭარაძემ, თამრო ქუთათელაძემ, სანდრო დეკანოზ, გიორგი ფალავამ, ბორია ივანოვმა, შალვა ტაბუკაშვილმა, ს. ნიკარაძისამ, ა. ჩხენკელმა და ვ. მებუკემ—ათ-ათი შაური; ივანე, კოლია და მარო სანოძეებმა—თითო შაური. სულ 11 მ. და 5 კ. გამოსაგზავნი ფული მომცა ბატარა ნუცამ.

პატარა ჩირიანი.

გიგზავნით ბრაზნაში შეკრეფილ 4 მ. 90 კ. გადასცემად ქართვ. საქველმოქმედო საზოგადოებისათვის. შემომწირველთა სია: №№ 2 მ., ნიკო არაქელოვი 1 მ., ბარიგმახერი გიორგი 1 მ., Юзбашевъ—50 კ. კიდევ—40 კ. იმედია ბრაზნის სხვა მოვაჭრეებიც, რგორც ქართველობა, ისე სომხობა, არ დაიშურებენ მიაწოდონ რამე დამშეულ ქართველობას. კარგი, რომ ჩვენ გვაწვდის კახურ დვინოს და გვიმაგრებს ზურგს, დღეს შიმშილში ჩავარდა კახური დვინით მოვაჭრეობა შეგიძინეთ ქონება, გაგიჩინეთ დუკანი და თუ დღეს კახეთი დაიმშა—ჩვენი ვალი მიგეშველოთ, ჩვენ კახეთი გვაცხოვრებს და კახეთის უბედურება ჩვენი უბედურებაც არის, იმედია ყველანი გაუწვდიან საშველად ხელს დამშეულ ქართველობას.

მოვაჭრე

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

დაბა აბასთუმანი. ... თვის რვიდან მოეოდებოდა უოველ დღე ... ის, რის გამოც შესამჩნევად გრიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წელს საკვარაკ... ... ხალხი მოვიდა, მომეტებულად ბაქოს და რუსეთიდან. კიდევ კარგი, რომ ქვიშრობი ადგილია, თორემ თავს ვერ გამოჭყოფდა კაცი კარედფასებსაც შესამჩნევად მოუმატეს, როგორც სახლებზე, ისე სანოვაგეზე. როგორც ეტყობა, უველა იმისა სცდილობს, ამ სამ თვეში მთელი წლის სარჩო შეიძინოს, მეტადრე ვაჭრები. ისე რომ ან ძალიან უნდა უმჯობდეს ადამიანს თუ აქ წამოსვლა უნდა და ან ჯიბე სავსე უნდა ჰქონდეს ფულით.

ჯერ ხომ ისეც უველაფრის სიძვირეა აქ, ეხლა ზედ დაურთეს შემდეგი გარემოებაც. გინდ მკვიდრი მცხოვრები იყოს და გინდ ერთი ან ორი თვით მოსული, „სეზონის ბილეთს“ „ძალით“ აიღებინებენ. ეს „სეზონის ბილეთი“ აქაური „პასპორტია. ბუნებით შემკობილ ფიჭვის ტყეებში თუ გსურთ ისეირნოთ, ან აბანოში წასხვიდეთ, არ გაგიშვებენ, თუ „სეზონის ბილეთი“ არა გაქვთ. ერთხელ წავედი აბანოში საბანებლად. მივედი, სადაც ბილეთებსა ჭყიდნენ. მივეცი დირებული ფასი ბილეთისა. ბილეთი მომცა და მომკითხა „სეზონის ბილეთი“. რადგან არა მქონდა, მითხრა ამედო. მე უარი უთხარ, რის შემდგომაც, ბუნდ შეკრულმა ბილეთების კამეიდგელმა მკვახედ მიპასუხა: არ აიღებთ და ბოდიკის გამოუცხადებთო. ჯერ ამით კითავდა ჩვენი დაპირაკი. „სეზონის ბილეთი“ ერთი კაცისა დირს სამი მანეთი, ტოდ-ქმრისა—ექვსი მანეთი და თუ რვა წელზე მეტისა ჭყავთ შვილები, თითოზე თითო მანეთი უნდა შეიტანონ. ბილეთს რომ აიღებთ, ეს არა კმარა, საბანებლის ფასს კიდევ სხვას გახდევინებენ. ქ. ტფილისში და სხვაგანაც მშვენიერი საბანურნადო წყლებია და მგონი აბასთუმნისას არცი ჩამოუვარდება. იქ ვისაც უნდა და რა დროსაც წავა და იბანებს; არც „სეზონის ბილეთს“ მოსთხოვენ: აბანოიან აუზში ჩავა თუ მანეთიანში, მარტო ამისას გადიხდის, აქ კი—აუზისას (ნეტა აუზებს მაინც ჭვანდეს) ცალკე გარომეენ და სამ მანეთს კიდევ ზედ მეტს. რომ უნდოდეს გულით ადამიანს, ვერც რიგიანად იბანებს.

ონი. სათბირის დათხოვნას და რეაქციის გაძლიერებას სიხარულით მიეგებნენ ჩვენებური რეაქციონერები. ვაი იმისი ბრალი, ვის წინააღმდეგაც პირადი მტრობა აქვთ. სულ მცირე მიზეზია საკმარ, რომ გაამეორონ აქედან და უდანაშაულოდ ამოაყოფინონ თავი ვირის აბანოში. დაბეზღებას ხომ საზღვარი არა აქვს ჩვენში. ჯერ ამას წინად სულ ტყუილა უბრალოდ დაიჭირეს ერ ჩრდილოეთ რუსეთში გადასასახლეს ძმები ადხაზაშვილები და ჭიჭინაძე. ესენი მსხვერპლნი გახდნენ ტეის მცველის დაბეზღებისა, რომელსაც სიმთვრალეში დაპირკი მოსვლოდა ადხაზაშვილებთან და მერე კი დასმინა, ვითომ რეოლვერი წაერთმიოთ. შეუგნებელ კაცს ბევრი არაფერი მოეთხოვება, მაგრამ რომ შეგნებული სჩადის ასეთ საქმეს, რა თქმა უნდა მოსაწონი არ არის. ამას წინად ებრაელთა აქაურმა სახელმწიფო რაბინმა ოფიციალურის რაპორტით ონის ბოქაულს აცნობა: მე გავიგე, რომ ამას და ამას გვარი და სახელი შეუცია ჩემზე ქადაგდა მაზრის უფროსისათვის, ვითომ მე სამსახურის ვადა გამსვლოდეს და ითხოვს ხელ ახალ არჩევას, ეს ტყუილია, მე ჯერ ვადა არ გამსვლია: ერთი თვე კიდევ არის, მაგრამ ამასთან გატეოობინებთ, რომ ზემოხსენებული კაცი არა საიმედო პირია ჩემს სამრეველოში: ხელს მიშლის სამსახურის სრულების დროსაც. დასამტკიცებელ სიბუთად მოგვაგს ის გარემოება, რომ როდესაც მან, რაბინმა, მოუყარა ხალხს თავი და უნდოდა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ გადასცემდა პარაკი, იმ კაცმა ყვირილით ხალხი დაშალა. სოხოვს, რომ ამ გარემოებას ბოქაულმა ყურადღება მიაქციოს: ხელს აწერს ონის სახელმწიფო რაბინი დავით ბაზოვი. ამით უნდა ბაზოკს მოიშორონ თავიდან არა სასიამოვნო პირი, რომელიც ხელს შეუშლის იმის ხელმეორედ არჩევას. თუმცა სული ტკბილია, მაგრამ ამ ბეჭარ, ეგენ სასგან დასაგმობ, გზისათვის არ უნდა მიემართნა ბაზოკს.

მადე ჩვენი დაიწყებენ მადნების დამუშავებას. რაჯის ოსეთში ბევრია ფაი ქვის და ანდამატის მადანი. ბ. ქაიხოსრო ბერეჩაგელმა და სიმონ მაჭავარიანმა დათვალიერეს ეს ადგილები, მოელაპარაკენ მესაკუთრეებს და ეხლა კომპანიას ადგენენ, რომ დაიწყონ მუშაობა.

რაჭველი.

რუსეთი

✦ **სიკვდილით სასჯელი.** 30 ივნისს პეტერბურგის უმთავრეს სამხედრო სასამართლოში განხილულ იქმნა თხოვნა ნატალია ერმოლაევისა. უკანასკნელი თხოულობდა ხელახლად განეხილად საქმე იმისი შვილის შესახებ, რომელსაც სხვებთან ერთად პეტერბურგის ლომბარდზე თავდასხმა ჰბრალდებოდა და სიკვდილით სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი. დედამ თავის თხოვნაში ახალი საბუთები წამოაყენა და ამბობს, რომ მოწმეების ჩვენებით შეუძლია დაამტკიცოს, რომ იმისი შვილი თავ-დასხმის დროს სხვა ადგილას იყო. სასამართლომ გადასწყვიტა ხელახლა გაირჩეს საქმე ახალი მსაჯულების დასწრებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შესაძლებელია უბრალოდ სიკვდილ-გადაწყვეტილი ერმოლაევი მხოლოდ შემთხვევით გადურჩა სასჯელს. სიკვდილით სასჯელი რამდენიმე დღით დაგვიანდა, რადგან ამისათვის საჭირო ადგილი დროზე ვერ გამოსძებნეს, ამ დროს კი ბრალდებულის დედამ თავისი თხოვნა წარუდგინა სასამართლოს.

✦ **გზათა სამინისტროს განკარგულება.** სახაზინო გზების ყოფილმა გამგემ ფონ-ვენდრიხმა, რომელიც გზათა მინისტრის თანაშემწედ იაინიშნა, გაგზავნა ყველა სახაზინო გზების გამგეობაში განკარგულება, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ ზოგიერთი რკინის გზის გამგენი უკრძალავენ თავის მოსამსახურეებს რუსთა კავშირში მონაწილეობას. ეს ყოვლად უკანონო მოქმედებაა, რადგან რუსთა კავშირი დაკანონებულია მთავრობის მიერ და სამშობლოს კეთილდღეობისთვის სასარგებლოდ მიჩნეული. ვინც რუსთა კავშირის წევრებს დევნას დაუწყებს, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება.

✦ **ექსპროპრიატორები.** ვარშავიდან აუწყებენ „ბირჟ. ვედ.“-ს, აქ ხმა გავრცელდა, რომ სად. როგოვოს ახლოს, სადაც ამას წინად ექსპროპრიატორებმა დიდძალი ფული ჩაიგდეს ხელში, თიეის ზვიხში უპოვიათ ვიღაც უცნობი სამი კაცის გვამი, რომელთა სიახლოვეს მიწაზე ეგდო 60 ათასი მანეთი, ერთი ცარიელი ბოთლი და ძეხვის ნაჭერი. ფიქრობენ, რომ ეს მძარცველების გვამები უნდა იყოს.

✦ **სასჯელის შემცირება.** ხელმწიფე იმპერატორმა სასჯელი შეუმცირა ყოფილ კავალერიის აფიცერს ვლადიმირ ბობორიკინს, რომელსაც სასამართლომ ერთი წლით დაპატიმრება გადაუწყვეტა. ბობორიკინს მხოლოდ სამი თვით დაუპატიმრებენ საპოლიციო განყოფილებაში. ბობორიკინს ჰბრალდებოდა მოხელე ჟილინსკის მოკვლის განძრახვა. საქმე ასე იყო. ნავოსადგურზე მოხელე ჟილინსკიმ გაიგონა როგორ სასტიკად ლანძღავდა ბობორიკინი სათათბიროს ერთ ცნობილ წევრს და ამის გამო პროტესტი განაცხადა. ბობორიკინმა საპასუხოდ რევოლვერი ამოიღო და სამჯერ დაახალა ჟილინსკის, მაგრამ ვერ მოახვედრა და დასჭრა იქვე ახლოს მყოფი ერთი მოსამსახურე.

თეატრი და ხელოვნება

—:—

ზოფ. ბახვი (გურია). 24 ივნისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, ბახვის ორ-კლასიან სკოლის დარბაზში, ამავე სკოლის სასარგებლოდ გამართული იქმნა იაფ-ფასიანი წარმოდგენა („არსენა“ და „დატრიალდა ჯარა“). თუმცა აქეთ ხალხი დიდს გაჭირვებაშია, წარმოდგენას მაინც ბევრნი დაესწრნენ. სამწუხაროდ, წარმოდგენამ მეტად სუსტად ჩაიარა. ბევრი მაყურებელი, ეჭვი არ არის, მიატოვებდა წარმოდგენის დარბაზს, რომ სხვა „რასმეს“ არ შეეჩერებინა. ოზურგეთში სტუმრად ჩამოსული ძნელაძეები (დედა და შვილი) შემთხვევით დაესწრნენ წარმოდგენას. რადგან აქეთაც მოიბეზედა როიალი და სკრიბკა, მათ თანხმობა განაცხადეს, ზოგიერთა პირების თხოვნით, მიეღოთ მონაწილეობა წარმოდგენაში. დედა-შვილმა ალტაცებაში მოიყვანეს დამსწრენი, მგონი მთლად დაავიწყეს წარმოდგენა. არ შემიძლიან არ უსაყვედურო ხელის მოყვარეთა, რომ წარმოდგენის გვიან დაწყება (და მაშასადამე გვიანაც გათავება) ნამეტნავად უხერხულია და ისიც სოფელში.

გ. შ—ძე.

დ. გუდაუთი (სოხუმის მაზრა). ამ თვეებში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა გამართეს ქართული წარმოდგენა. რიგის წმინდა შემოსავალიც დანიშნული იყო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა ს. გომართელის პიესა «ქოხში». წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა—და სამხატვრო სიგანდაგება კმაყოფილი დარჩა. ეს წარმოდგენა დანიშნული იყო 17 ივნისისთვის და საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა საღამოს, მაგრამ მოლოდინმა ამაოდ ჩაიარა, რადგან ნაშუადღევის 4 საათზე ახალი განცხადება იქნა გაკრული, რომ მოულოდნელ შემთხვევისაგამო წარმოდგენა გადაიდო 19 ივნისისთვისაო, რითაც საზოგადოება ძლიერ გულ ნაკლები დარჩა. მიზეზი წარმოდგენის გადადებისა ერთი მატარაძე ყოფილა, რომელიც სოხუმიდან არ ჩამოსულა. ამავე მიზეზით ერთის მაგიერ ორჯერ შეიქნა გადასახადი სახლის ქირა, სადაც წარმოდგენა გაიმართა.

დამსწრე.

წერილი რედაქციის მიმართ *)

მ. ხ.! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მკითხველებს ვაუწყო შემდეგი.

1905 წელს, ოქტომბრის გასულს თუ ნოემბრის დასაწყისში, «მოგზაურის» რედაქციამ ბანკის საშუალებით მიიღო 2006 მან., ქ. ხარბინიდან ტელეგრაფით გადმოტანილი. რედაქციამ არ იცოდა არც ფულის დანიშნულება და არც ის, თუ ვისგან იყო ეს ფული გამოგზავნილი. მაგრამ რადგანაც ფული ტელეგრაფის საშუალებით იყო გამოგზავნილი, აშკარა იყო, რომ ფულის დანიშნულება ცალკე წერილით ეუწყებოდა რედაქციას, და იმიტომ ძალა უნებურად წერილს დავუწყეთ ლოდინით. გავიდა თითქმის 10 დღემდე, მაგრამ წერილი არსაიდან იყო. ამ დროს მოგვისწორა სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის ცნობილმა გაფიცვამ. გაფიცვას შემდეგ პროლეტარიატის პოლიტიკური გაფიცვაც მოყვა, რაც დეკემბრის პირველ რიცხვებიდან ალაგალგ შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცა. როგორც ვიცი, ეს 1905 წლის დეკემბრის დამლევამდე გაგრძელდა. ამნაირათ თითქმის ორი თვის განმავლობაში ფიზიკურად შეუძლებელი იყო ხარბინთან რაიმე მიწერ-მოწერის გამართვა. ჩვენ გადავწყვეტილი გვქონდა პირველ შემთხვისთანავე მიგვემართა ვინმე ქართველისათვის ხარბინში ხსენებული ფულის შესახებ. მაგრამ ამ დროს, ე. ი. 1906 წლის 2 იანვრიდან, მე მოწყვეტილი ვიყავ თავისუფალ ცხოვრებას. ამიტომ პირადათ მე აღარ შემეძლო ვისმესთვის მიმემართა ხსენებული ფულის თაობაზე ან რაიმე ცნობა მიმეღო. ციხეში ჯდომის დროს გავიგე მხოლოთ ის, რომ ჩემი ოლიგარქიოვის ნაცნობ პირს მიემართა და ეკითხა, თუ სად იყო ან ვის ქონდა «მოგზაურის» სახელზე ხარბინიდან გამოგზავნილი 2006 მანეთი. რადგანაც ჩემი ცოლი დარწმუნებული იყო მის განცხადებაში, სიმართლეში, ფული გადაეცა. როცა მე განმათავისუფლეს, ეს ფულის ამბავის გამოკითხვა სრულიგით ზედმეტად ჩავთვალე, ვინაიდან სრულიად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ფული საიმედო პირს ქონდა გადაცემული. ამას შემდეგ მე სრულებით დამშვიდებული ვიყავი ამ ფულის თაობაზე და თითქმის კიდევაც გადამავიწყდა იგი, როცა ამ თვე ნახევრის წინად გაზ. «ისარში» ბ. კირვალიძის საკვირველი წერილი წავიკითხე საკვირველი სათაურით. ბ. კირვალიძე საქვეყნოთ იძახოდა: «ნეტა რა უყვეს ჩვენ ფულებსაო»? და პასუხსაც თითქმის თითონვე იძლეოდა. იგი კერძო კაცების კერძი გახდაო! ეს კერძო კაცები, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში «მოგზაურის» ყოველი რედაქციის წევრები უნდა ყოფილიყვნენ უთუოთ. ასეთი დასკვნა უნდა გამოეყვანა მკითხველს ბ. კირვალიძის წერილიდან.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ბ. კირვალიძის წერილში შემდეგი გარემოება იყო: როგორც მისი სიტყვებიდან ჩანდა, მისთვის ხარბინში დაევალებიათ წამოსვლის დროს, 2006 მანეთის[1]) ბედის გაგება. ბ. კირვალიძეც თბილისში ჩამოსვლისთანავე, თანახმათ მისი სიტყვებისა, შედგომია ამის გაგებას, მაგრამ სამწუხაროთ, როგორც თითონ აცხადებდა, ვერაფერი ვერ გაეგო. ან კი როგორ უნდა გაეგო ბ. კირვალიძეს ზევით დასახელებული ფულის ამბავი? ერთათ ერთი პირდაპირი საშუალება ამ შემთხ-

*) ვბეჭდავთ ბ. მახარაძის წერილს სრულიად უცვლელ დ. პასუხს, ალბათ, თვით ბ. კირვალიძე გასცემს და გვეტყვის—დააკმაყოფილა იგი ბ-ნ მახარაძის განმარტებამ თუ არა და დაკმაყოფილდებიან თუ არა ამ პასუხით ფულის შემომწირველნი. ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ვერ გაგვიგია წერილის კილო და ხასიათი: გაბრაზებული ავტორი ლანძღვასა და პიროკნების შელახვასაც არ ერიდება, თუმცა, ბ-ნ კირვალიძის «დანაშაულობა» მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ შემომწირველთა სახელით მოიკითხა, რა იქნა, რა ბედი ეწვია ჩვენს ფულებს ანგარიში არსად ყოფილა და ვერა გავიგეთ-რაო. ჩვენის ფიქრით, ასეთი შეკითხვა კანონიერი უნდა იყოს და რათ არის ასე განრისხებული ბ. მახარაძე, რომ მშვიდობიანის და ობიექტიურის პასუხის გაცემა ვერ მოუხერხებია.!!

რედ.

[1]) ბ. კირვალიძე სხვა ციფრებს ასახელებს, სახელდობრ 2411 მან., მაგრამ ეს სიცრუეა, ვინაიდან «მოგზაურის» რედაქციამ ხარბინიდან მხოლოთ 2006 მანეთი მიიღო. თუ რათ მოსდის ბ. კირვალიძეს ასეთი შეცდომა, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

ვევაში იყო იმ რედაქციის წევრების ნახვა, სადაც ფული გაიგზავნა. ყოველგვარი სხვა საშუალება ამ მიზნის მისახწევათ ტყუილა უბრალოთ დროს დაკარგვა იქნებოდა და მეტი არაფერი. ახლა ვიკითხოთ: მიმართა ბ. კირვალიძემ ამ საშუალებას, თუ მან სხვა გზა აირჩია? ჩვენ ვამბობთ, რომ ბ. კირვალიძე თავიდანვე აცდა სწორ გზას და თავიდანვე სიცრუის მორევში ჩაეფლო. თუმცა იგი ირწმუნება, რომ მან ბევრი ეძია «მოგზაურის» ყოფილი რედაქციის წევრები, მაგრამ ვერც ერთი იმათგანი ვერ აღმოჩნდა. აი საკვირველება! არც ერთი ჩვენთაგანი არასოდეს არავის არ დამალვია და როგორ მოხდა, რომ ჩვენ ბ. კირვალიძეს დავემალეთ! ამის თქმა აუკარა ტყუილია და ასეთი ტყუილების გამოგონება მარტო კირვალიძეებს შეუძლიანთ. თუ ბ. კირვალიძეს იმდენი ჭკუა-გონება ქონდა, რომ მან ხარბინიდან თბილისში ჩამოსვლა მოახერხა, მე მგონია თბილისში იგი „მოგზაურის“ რედაქციის ერთ-ერთი წევრის ნახვას კიდევ უფრო ადვილათ მოახერხებდა, თუ კი ამის სურვილი ქონდა და თუ ეს მან ვერ მოახერხა, ეს მხოლოთ იმით აიხსნება, რომ ამაზე მას არც კი უფიქრნია. მიუხედავათ ამისა, იგი წარბ-შეუხრელათ საქვეყნოთ გაიძახის, რომ მან «მოგზაურის» თანამშრომლებიდან ვერაფერი ვერ გაიგო და ბოლოს გადაჭრით ამბობს: «გაჭირვებული და განადგურებული ჩვენი ხალხის დასახმარებლათ შეგროვილი **ფული გაფლანგული გამოდგაო**» (იხ. „ისარი“, № 121, ხაზ. ჩვენ ვუსვამთ) სამართლიანობაც თუ გინდათ სწორედ ეს არის! რომელი იურიდიული ან ზნეობრივი საფუძვლის ძალით ამბობს ამას ბ. კირვალიძე? მაგრამ ვინ ბ. კირვალიძე და სად სამართლიანობა! ბ. კირვალიძეს შეუძლია მხოლოთ დაბალი ხარისხის დემაგოგობა და ფარისევლების ცრემლის ღვრა, მორჩა და გათავდა.

თუ რა საფუძველი ქონდა ბ. კირვალიძეს ასეთი დასკვნის გამოსაყვანათ, ეს ჩვენ რამდენიმეთ ზევით ნათქვამიდანაც ვიცით, მაგრამ ბ. კირვალიძის აღმაშფოთებელი საქციელის დასახასიათებლათ მარტო ეს არ კმარა. მისი წერილი ჩვენ ამის საუთსაც გვაძლევს, თუ ვისთან, რა გვარ «წარმომადგენელთან» გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე. ბ. კირვალიძემ „ისარში“ თავისი თავი წარმომადგენლათ გამოაცხადა იმათთაგან, ვინც ფული შეკრიბეს და „მოგზაურის“ რედაქციაში გამოგზავნეს. მაგრამ „წარმომადგენელობა“ მან თითონ გამოიგონა. და არავის მისთვის ეს არ დაუვალებია. თუ მართლა საქმის ნამდვილ მცოდნეთ და ინიციატორებს მისთვის ეს მიენდოთ, მას იმასაც ეტყოდენ, თუ მართლა რამდენი ფული იყო „მოგზაურის“ რედაქციაში გამოგზავნილი, და არა ყალბ ცნობას მისცემდენ. (2006 მან. მაგიერ 2411 მ.). რომ ჩვენ ამაში არ ვცდებით, ამას თვით ბ-ნი კირვალიძის სიტყვები ამტკიცებს. აი რას გვეუბნება იგი: „როდესაც სამშობლოში წამოსვლას ვაპირებდი, ჩემთან სხვებიც ემზადებოდენ წამოსასვლელათ. ჩვენი სურვილი იყო გაგვეგო შემოწირულების რაოდენობა. **ვინ ხელშიაც იყო შეკრეფილი ფული, ის ვეკითხეთ** და იმის გულის მეგობრებს (!) ტ. დ—ძეს და დ. კ—ძეს დავავალეთ, რომ შეეტყოთ რაოდენობა ფულისა. ამ პირებმა მითხრეს, რომ „ფული არის შეგროვილი 24 1 მანეთიო“... თუ ეს ცნობა ზემოთ დასახელებულმა პირებმა შეცდომით გადმოგვცეს, ამაში ბრალი მე არა მაქვსო“ (ისარი № 121). როგორც ხედავთ, ბ. კირვალიძეს არც ფულის შეგროვებაში მიუღია მონაწილეობა, არც ის უნახავს, ვის ხელშიაც ფული შეგროვდა და მხოლოთ ამ უკანასკნელის „გულის მეგობრებისათვის“ გამოუკითხავს, ე. ი. ისეთი პირებისათვის, რომლებმაც კარგათ თითონაც არ იცოდენ რაში იყო საქმე. მიუხედავათ ამისა მ. კირვალიძეს თავისი თავი მანც „წარმომადგენლათ“ ჩაუთვლია და იმავე დროს ურცხვათ გაიძახის, რომ თუ ეს შეცდომა არის, „ამაში ბრალი მე არ მაქვსო“. ერთი სიტყვით, ბ. კირვალიძემ არ იცოდა საქმის ვითარება, არ ქონდა მინდობილება, ვისგანაც ჯერ არს, რაც პირდაპირ მისივე სიტყვებიდან მტკიცდება, და მ უხედავათ ყველა ამისა, მან მაინც იკისრა არამკითხეობა. იკისრა რა მან ასეთი არა-სასიქადულო როლი, იგი იძულებული შეიქნა სიცრუის და ტყუილების მორევში შეეტოპა და ამავე დროს სრულებით უდანაშაულოთ და უმართებულოთ „მოგზაურის“ ყოფილი რედაქციის წევრების პიროვნება შეელახა და მათის ჩირქი მოეცხო. ამავე დროს ბ. კირვალიძემ თავისი უნამუსო ჰორიკანობით ხელი შეუწყო იმ ზღაპრის გავრცელებას, რომ ვითომც ზემოაღნიშნული ფული გურულების დამწვარ ოჯახების სასარგებლოთ ყოფილიყოს გამოგზავნილი. რომ ეს ზღაპარია, ეს, სხვათა შორის იქიდანაც მტკიცდება, რომ როცა ხარბინში მოაგროვეს ეს ფული, მაშინ იქ სრულებით არაფერი არ იცოდენ გურული ოჯახების გადაწვის შესახებ.

ახლა შეიძლება ვინმემ მკითხოს: რათ ვიყავი მე ამ თვენახევარის განმავლობაში გაჩუმებული? რათ არ ვიდებდი ხმას ბ. კირვალიძეების ინსინუაციების და ს ზოგადოებაში მისი მეთხებით გავრცელებულ მითქმა-მოთქმის წინააღმდეგ? რათ ვიტანდი მე ამოდენა ხნის განმავლობაში ყოვლად უსამართლოთ მიყენებულ დამცრეებას და შეურაცყოფას? თავის-თავად იგულისხმება, რომ მ. კირვალიძისათვის შესაფერი პასუხის გაცემა, მ ს არამკითხაობის, მისი ფიქტიური წარმომადგენლობის გამოაშკარავება მე მაშინვე შემეძლო, როცა მისი პირველი წერილი დაისტამბა. მაგრამ ჩემთვის ეს არ კმაროდა. ჩემთვის საჭირო იყო ხელახლა ფაქტიურათ შემოწმებია ის, რაშიაც მე დარწმუნებული ვიყავი. მაგრამ სამწუხაროთ ჩემდა, იმ დროს აქ არ იმყოფებოდა ის პირი, რომელმაც ხარბინიდან მიიღო ზემოაღნიშნული ფულის დანიშნულების შესახებ ცნობა. დღეს კი მე კიდევ ერთხელ ფაქტიურად დავრწმუნდი იმაში, რომ „მოგზაურის“ რედაქციის მიერ მიღებული ფული 1905 წელს, რიცხვით 2006 მან., გადაეცა და დაიხარჯა თავის ნამდვილ დანიშნულებისამებრ. მაგრამ რადგანაც საქმე ასე გამწვავდა, რადგანაც ბ. კირვალიძის წყალობით და ერთი ჯურის ვაუბატონების წასისინების გამო, ამ ქამათ ამ ფულების გამო ათასნაირი ჭორები გავრცელდა საზოგადოებაში, ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ ზემოაღნიშნულ ფულის მოგროვების მოთავეთ, ე. ი. იმათ, ვინც ამ საქმის ვითარება. ნამდვილათ იციან, დანიშნონ კომისია და დავოლონ მას იმის გამოკვლევა, მართლა „გაოფლანგა“ „მოგზაურის“ სახელზე ხარბინიდან გამოგზავნილი ფული—2006 მან., თუ იგი თავის დანიშნულებისამებრ დაიხარჯა.

ფ. მახარაძე.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იგვისი

რ უ ს ე თ ი შ ი.

ომსკი. თავადი იორგეზე დილის 3 საათზე გაემგზავრა ავტომობილით ტიუკალინსკისაკენ.

მინსკი. მთავარ ქუჩაზე აღმოაჩინეს კარგად მოწყობილი სტამბა. იბეჭდნეს ორი რევოლვერი, ორი ყუთი პატრონა, კალათი არალეგალური ლიტერატურით და 3 ბეჭედი რევოლიუციონერების სატერორისტო ორგანიზაციისა. ერთი კაცი დაპატიმრეს.

პოლტავა. ლუბნაში მძიმედ დასჭრეს ერთი მუშა.

ბობრუნსკი. ებრაელთა თორაში იბეჭნეს 8 მოძზადებული ყუმბარა.

ვორონეჟი. ბობროვის, ვალუის და ბავლოვის მაზრების საერობო კრებაზე არჩეულთა უმეტესობას მემარჯვენენი და ოქტომბრისტები შეადგენენ.

ეკატერინოსლავი. სადგ. კულაშევკს მახლობლად შეიარადებული მძარცველები თავს დაესხნენ მოჯარადრე ბაბიჩს. მოჰკლეს თვით ბაბიჩი, მისი სამი წლის ვაჟი, მასთან მცხოვრები ქალი და ერთი გლეხის ქალი მცირე წლოვანი შვილითურთ.

ელისავეტგრადი. დაბა როვნის მახლობლად მოჰკლეს მიწის მუშა შეგცოვი.

პეტერბურგი. საგანგებო დაცვის წევრები პეტერბურგში ექვსის თვით განაგრძეს.

მინსკი. ძიხსკის ძაზრაძი სოფ. ივეხცაში ეკლესიის მოედანზე პოლონელებმა აღმართეს კათოლიკეთა ჯვარი. საერობო უფროსმა ეფრონსმა ეს რძანა, ჯვარი მოეხსნათ. ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია, პოლიციას ქვა და ჯოხი მიაყარა. სტრაჟნიკებმა ესროლეს. ხალხიდან მოკვდა ერთი დაიჭრა ბ. ქალი. რამდენიმე სტრაჟნიკი დაშავდა. ჯვარი ჩამოიღეს.

ლოძი. პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ერთი მუშა.

პეტერბურგი. მინისტრთა საჭმომ მესამე სახ. სათათბიროში შესატანად მოიწონა იუსტიციის მინისტრის წინადადება, რომ საპატიმროს მოხელეთ და მათ ოჯახებას მიეცეთ პენსიის მიღებაში უპირატესობა მაშინ, როცა იმათ სამსახურის დროს რამე დაუშავდებათ და გზათა მინისტრის წინადადება ციმბირში მეორე ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

ობერ-პოკურორმა სინოდში წინადადება შეიტანა, საშუალო სასწავლებლებში საღმრთო სჯულის სწავლების წესი-რიგის გადასხვაფერების შესახებ.

უ ც ხ ო ე თ ი შ ი.

ბრიუსელი. გარეშე საქმეთა მინისტრს შეეკითხნენ, მართალია თუ არა, ვითომ ვენეზუელა (რესპუბლიკაა ამერიკაში) ჰაგის სამედიატორო სასამართლოს განაჩენს არ ემორჩილება და ბელგიელ კრედიტორების სასარგებლოდ 10,000,000 ფრანკის გადახდაზე უარს აცხადებსო. მინისტრმა ეს ცნობა დაადასტურა, მხოლოდ განაცხადა, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს ბელგიის ინტერესის დასაცავად.

თეირანი. ხმა გავარდა, ვითომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ებრაელები სცხოვრობენ, ერთი მაჰმადიანი ქალი დამწყვდეული ყავდათ. ამ ამბავს კინადამ ხოცვა ყლეტა მოჰყოლია, მთავრობას რომ დროზე ზომები არ მიეღო. მიუხედავად ამისა, 20 ებრაელი მაინც დასჭრეს.

სტამბოლი ვენაში მყოფი ინგლის ელჩი დიკსონი და რუსეთისა შირკოვი ბიტლისს მივიდნენ და საქმის გამოსაძიებლად მოსულ ტრაბიზონის ვალ ს თახის ფაშას მემორან უმი გარდასცეს. გამოძიებას განაგრძობენ. ვანსა და შუშაში, როგორც ამბობენ, არეულობა დაიწყო.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

ბაქოს: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

ბათუმს: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.).

ბორჯომს: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ერევნისა და ყარსს: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ბორჯომიდან: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (6 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ერთადერთი კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ფორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდ.

დ ი დ ი ო:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ე. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

კ. ი. გეიდეშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ვ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ვ. ი. გურგენოვი; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

ს ა დ ა მ ო თ ი:

ა ი. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მკდიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—108

კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

ლ. შტრეიხერისა

კბილის საექიმო სკოლასთან

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოდ	20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . .	20 „
კბილის გაწმენდა	50 „
„ „ არის უფრო ძვირიც	
პლომბა გუდაპერჩისა	50 „
„ „ ცემენტისა. . . . . 1 მ.	
„ „ მეტალიური. . . . 1 „	
„ „ ვერცხლისა ამალგამა 1 „	50 „
„ „ ემალისა . . . . . 1 „	50 „
„ „ ფაი ფურისა . . . . 3 „	
„ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე.	
„ „ წმინდა ოქროსი. . . 3 „	
„ „ უფრო ძვირიც.	
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:	
„ „ დიოტორიტიული. . 1 „	
„ „ კრამპონისა . . . . 1 „	50 „
ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით:	
„ „ თითო კავი . . . . 1 „	
შტიფტის კბილები ოქროზე . . 3 „	
კორონკა ლოგანისა . . . . . 4 „	
კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ	
ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . 1 „	
საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ	
აპარატი კბილების გასასწორებლად	
ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობა ამებრ.	
და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ.	

(100—ბუხ.—14)

მხოლოდ იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

კ ე ფ ი რ ი
ო. კოროლნისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

კ უ მ ი ს ი

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—40) პატივ. **ო. კოროლნი.**

მშვენიერი ბაღი ნაჭრებათ დაყოფილი

საბურთალოზე

თავ. ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულის შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ, თითო ნაწილი 200—300 ოთხკ. საჟნამდის. ფასი 1 მანეთიდან 2 მანეთამდე. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. ვინც ნაღდზე იყიდის, იმას რამდენიმე პროცენტი დაეკლება.

ისყიდება აგრეთვე საბურთალოზე, მუშტაიდის პირდაპირ, მიწა ნაწილებად დაყოფილი. იკითხეთ წყნეთის ქუჩაზე № 2. **სანდრო მინდიაშვილთან.** (2—190—2)

ტფილისის კბილის საექიმო

სკოლა
ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყოს.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—24)

დაიბეჭდა და იყიდება

„არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილისა 1 ნაწ. 30 კ. „მეორე ნაწილი კრებულისა“, (მისივე)—40 კ.

ქართული წერის დედანი

ალ. მირიანაშვილისა 40 კ. ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II № 3 კ. „ეს ყიდეა ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები.

მისამართი: **Тифлисъ книжн. магазинъ „ПОДНА“.** მაღაზიის პატრონი **სოსიკო**

(20—193—2) **მერკვილაძე**

გამოვიდა და იყიდება

ა. საბუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—3)

იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება

ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოცდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის“ გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.**

(10—უ.—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იამშვალისა . . . . . 20 კ.
7. **«მასალების საქართველოს ისტორიისათვის»**, ... 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . 1 მ.
9. **«ზღიაულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . 40 კ.
10. **«ციხარტველა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . 1 მ. 35 კ.

(—5)

კურსები კავკასიაში.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი

ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები

გ. ა. პირაკოვზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები. (10—124—8)

ერევნის სისტემის პროგრამაით

ეურთ ერთი

ეურთ ერთ

საკუთარი ვენახებიდან

რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ

ნამდვილი კახური ღვინო

Товарищество кахетинскихъ виноградарей

„Дзмоба“ „ДЗМОБА“

въ Тифлисѣ

Телефонъ № 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—76)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.